



ლაიფციგის გლოსირების წესები

წინასიტყვაობა

სტრიქონული მორფემული გლოსირება გვაძლევს ინფორმაციას ცალკეული სიტყვების გრამატიკული თვისებების შესახებ. შესაბამისად, ენათმეცნიერებაში შემოდებულია გლოსირების განსაზღვრული წესები და ამ დოკუმენტის მთავარი დანიშნულებაა ამ წესების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის.

ავტორის მიზნებიდან და მკითხველის წინასწარი ცოდნიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა დონის დეტალური ანალიზის შერჩევა. აღნიშნული წესები საკმაოდ მოქნილია სხვადასხვა თვალსაზრისით და იძლევა სხვადასხვა ვარიანტის არჩევის შესაძლებლობას.

მთავარი დანიშნულებაა მაგალითების წარმოდგენა კვლევით სტატიაში ან მონოგრაფიაში. მთლიანი კორპუსის მონიშვნის (ტაგირების) დროს, ზოგიერთს შეიძლება დასჭირდეს რაღაც ერთეულების განსხვავებულად განხილვა ან წარმოდგენა (მაგ. შეიძლება მოუხდეს უფრო ვრცელი ინფორმაციის წარმოდგენა სიტყვებისა ან შესიტყვებების შესახებ; ამ წესების მიხედვით კი ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მორფემების შესახებ).

აღსანიშნავია, რომ არსებობს სხვადასხვა გზა ენის მორფოლოგიური მოდელების აღწერის თვალსაზრისით. გლოსირების წესები ენათმეცნიერს არ ეხმარება ენობრივი მოდელის შერჩევაში, არამედ მხოლოდ სთავაზობს მას ინფორმაციას სტანდარტული აღწერის შესაძლო გზების შესახებ. უფრო მეტიც, გლოსირება ხშირად არ წარმოადგენს სრულ მორფოლოგიურ აღწერას და, შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს რომ მის დანიშნულებას სიტყვის ანალიზი შეიძლება არ წარმოადგენდეს საერთოდ, არამედ მისი მთავარი დანიშნულებაა რაც შეიძლება უფრო მარტებული ინფორმაციის მიწოდება ტექსტის ან მაგალითის შესაძლო სტრუქტურის შესახებ, გარდა მხატვრული თარგმანისა.

შენიშვნა გამოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი გლოსების დამუშავების შესახებ: გლოსი ანალიზის და არა მონაცემების ნაწილია. გამოცემული ნაშრომიდან მაგალითის ციტირებისას, შესაძლებელია ავტორის მიერ გლოსის შეცვლა თუ იგი მიჰყვება ნაშრომის ავტორისგან განსხვავებულ ტერმინოლოგიას, განსხვავებულ სტილს ან ანალიზს.



წესი 1: სიტყვასიტყვითი გლოსირება (Word-by-word alignment)

სტრიქონული გლოსი არის ვერტიკალურად მარცხნივ-გასწორებული სიტყვები მაგალითით, მაგ.:

(1) ინდონეზიური (Sneddon 1996:237)

Mereka di Jakarta sekarang.
They in Jakarta now

'They are in Jakarta now.' (ისინი ახლა ჯაკარტაში არიან)

წესი 2: მორფემული გლოსირება (Morpheme-by-morpheme correspondence)

მორფემები გამოიყოფა დეფისით როგორც მაგალითში, ასევე გლოსშიც. საჭიროა, რომ დეფისების რაოდენობა როგორც მაგალითში, ასევე გლოსშიც ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგ.:

(2) ლეზგიური (Haspelmath 1993:207)

Gila abur-u-n ferma hamišaluğ güğüna amuq'-da-č.
now they-OBL-GEN farm forever behind stay-FUT-NEG

'Now their farm will not stay behind forever.' (მათი ფერმა აწი არასოდეს ჩამორჩება)

რადგანაც დეფისი და ვერტიკალური გასწორება შეიძლება აღმოჩნდეს უჩვეულო ტექსტის წაკითხვის დროს, ავტორს შეუძლია დასაწყისში ხაზის ჩამატება, რომელშიც იქნება წარმოდგენილი სახე-შეუცვლელი ტექსტი ან მეოთხე წესში (და, განსაკუთრებით, 4 გ-ში) აღწერილი შესაძლებლობების გამოყენება.

კლიტიკების ჩვენება შესაძლებელია ტოლობის ნიშნის გამოყენებით როგორც მაგალითში, ასევე გლოსშიც.

(3) დასავლეთ გრენლანდიური (Fortescue 1984:127)

palasi=lu niuirtur=lu
priest=and shopkeeper=and

'both the priest and the shopkeeper' (როგორც მღვდელი, ასევე მაღაზიის მეპატრონეც).



წესი 2ა. (არასავალდებულო)

თუ მორფოლოგიურად გადაბმული ელემენტები შედგება მკვეთრად განსხვავებული პროსოდიული ან ფონოლოგიური სიტყვებისაგან, ობიექტ-ენაში (მაგრამ არა გლოსში) შესაძლებელია ერთდროულად დეფისისა და ცარიელი ადგილის გამოყენება.

(4) ჰაკა ლაი

a-nii -láay

3SG-laugh-FUT

's/he will laugh' (ის (ქალი ან კაცი) გაიცინებს)

წესი 3: გრამატიკული კატეგორიების მარკირება (Grammatical category labels)

გრამატიკული მორფემების წარმოდგენა, ძირითადად, ხდება გრამატიკული კატეგორიების შემოკლებული მარკერების გამოყენებით, რომლებიც იბეჭდება დიდი ასოებით (უფრო, იშვიათად, პატარა ზომის დიდი ასოებით). სტანდარტული შემოკლებების (რომლებიც ფართოდ გამოიყენება ენათმეცნიერებაში) ნახვა შესაძლებელია დოკუმენტის ბოლოს.

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს აღნიშნული სტანდარტული შემოკლებების გამოყენების შეცვლა, მაგ. თუ კატეგორია ძალიან ხშირად გამოიყენება ენაში, სასურველია უფრო მოკლე შემოკლების გამოყენება, მაგ. CPL (COMPL მაგივრად) „კომპლექტივის“¹ საჩვენებლად, PF (PRF მაგივრად) „ნამყო სრულის“ საჩვენებლად და ა.შ. ძალიან იშვიათი კატეგორია შეიძლება საერთოდ არ საჭიროებდეს შემოკლებას.

შემთხვევების უმეტესობაში, დასაშვებია მეტა-ენიდან კატეგორიის მარკერისა ან სიტყვის გამოყენება. შდრ., ორი მაგალითი:

(5) რუსული

<i>My s Marko</i>	<i>poexa-l-i avtobus-om</i>	<i>v Peredelkino.</i>
1PL COM Marko	go-PST-PL bus-INS	All Peredelkino.
we with Marko	go-PST-PL bus-by	to Peredelkino.

¹ კომპლექტივი - სიტყვა ან მორფემა, რომელიც სიტყვას ან შესიტყვებას სჭირდება სრული მნიშვნელობის საჩვენებლად (მაგ. შესიტყვებაში 'break up' - კომპლექტივია)



'Marko and I went to Peredelkino by bus.' (მარკო და მე
პერედელკინოში ავტობუსით წავედით.)

წესი 4: ერთი მორფემის რამდენიმე მნიშვნელობასთან შესაბამისობა (One-to-many correspondences)

მაშინ როცა ობიექტ-ენაში წარმოდგენილი ერთი ელემენტი შეესაბამება მეტა-ენის რამდენიმე ელემენტს (სიტყვას ან შემოკლებას), მათი გამოყოფა ხდება წერტილის გამოყენებით, მაგ.:

(6) თურქული

çık-mak

come.out-INF

'to come out' (გამოსვლა)

(7) ლათინური

insul-arum

island-GEN.PL

'of the islands' (კუნძულების)

(8) ფრანგული

aux chevaux

to.ART.PL horse.PL

'to the horses' (ცხენებთან)

(9) გერმანული

unser-n Väter-n

our-DAT.PL father.PL-DAT.PL

'to our fathers' (მამებს)

(10) ჰიტიტე (Lehmann 1982:211)

n=anapedani

CONN=him that.DAT.SG

mehuni

time.DAT.SG

essandu.

eat.they.shall



'They shall celebrate him on that date.' (მათ უნდა აღნიშნონ მისი
დღესასწაული იმ დღეს) (CONN = მაერთებელი)

(11) ჯამინჯუნგი (Schultze-Berndt 2000: 92)

nanggayan *guny-bi-yarluga?*
who 2DU.A.3SG.P-FUT-poke

'Who do you two want to spear?' (ორიდან ვის გინდა ჰკრა ხელი?)

მეტა-ენის ორი ელემენტის თანმიმდევრობის განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა პრინციპზე დაყრდნობით; მათი განზოგადება საკმაოდ ძნელია, ამიტომაც წესი მათ არ განიხილავს.

არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რომელიც განაპირობებს ერთი მორფემის სხვადასხვა ერთეულთან შესაბამისობის დადგენას ობიექტ-ენისა და გლოსების ელემენტების დონეზე. მათი დაკავშირება ხდება წერტილის სტანდარტული გამოყენებით. თუ ვინმეს მათი ერთმანეთისგან განსხვავება სჭირდება, შეუძლია 4 ა-ე წესების გამოყენება.

წესი 4ა. (არასავალდებულო)

თუ შეუძლებელია ობიექტ-ენის ელემენტის გამოყოფა არც ფორმალურად და არც სემანტიკურად, ხოლო მეტა-ენის დონეზე არ არსებობს ერთ-სიტყვიანი ეკვივალენტი, მაშინ წერტილის მაგივრად გამოიყენება ქვედა ხაზი, მაგ.:

(12) თურქული (შდრ. 6)

çık-mak
come_out-INF
'to come out' (გამოსვლა)

წესი 4ბ. (არასავალდებულო)

თუ ობიექტ-ენის ელემენტის გამოყოფა ფორმალურად შეუძლებელია, მაგრამ მას გააჩნია მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობები ან გრამატიკული თვისებები, მაშინ შესაძლებელია წერტილ-მძიმის გამოყენება, მაგ.:

(13) ლათინური (შდრ. 7)

insul-arum



island-GEN;PL

'of the islands' (კუნძულების)

(14) ფრანგული

aux **chevaux**
to; ART; PL horse; PL

'to the horses' (ცხენებს)

წესი 4გ. (არასავალდებულო)

თუ ობიექტ-ენის ელემენტის გამოყოფა შესაძლებელია ფორმალურად და სემანტიკურად, მაგრამ ავტორს არ უნდა ფორმალური სემანტიკის ჩვენება (რადგანაც იგი არის შეუსაბამო და/ან არ უნდა ტექსტის ზედმეტად გართულება), მაშინ შესაძლებელია ორი წერტილის გამოყენება, მაგ.:

(15) ჰიტიტე (Lehmann 1982:211) (შდრ. 10)

n=anapedani **mehuni** **essandu.**
CONN=him that: DAT; SG time: DAT; SG eat: they: shall

'They shall celebrate him on that date.'

წესი 4დ. (არასავალდებულო)

თუ ობიექტ-ენაში გრამატიკული თვისება წარმოადგენს მორფოფონოლოგიური ცვლილების შედეგს (აბლაუტი, ტრანსფორმაცია, ტონური შენაცვლება და ა.შ.), მაშინ გამოიყენება მარცხნივ დახრილი ხაზი კატეგორიის მარკერისა დანარჩენი გლოსისგან გამოყოფის მიზნით, მაგ.:

(16) გერმანული (შდრ. 9)

unser-n **Väter-n**
our-DAT.PL father\PL-DAT.PL

'to our fathers' (ჩვენ მამებს, შდრ. მხოლოდითი Vater)

(17) ირლანდიური

bhris-is
PST\break-2SG



'you broke' (შენ გატეხე, შდრ. არა-წარსული bris-)

(18) Kinyarwanda

mú-kòrà

SBJV\1PL-work

'that we work' (რაც ჩვენ ვმუშაობთ, შდრ. თხრობითი კილო mù-kòrà)

წესი 4ე. (არასავალდებულო)

თუ ენაში წარმოდგენილია პირისა და რიცხვის აფიქსები, რომლებიც აღნიშნავენ გარდამავალი ზმნის აგენსისა და პაციენსის არგუმენტებს ერთდროულად, მაშინ გლოსირების დროს შესაძლებელია „>“ გამოყენება იმის საჩვენებლად, რომ პირველი არის აგენსის არგუმენტი, ხოლო მეორე პაციენსისა, მაგ.:

(19) ჯამინჯუნგი (Schultze-Berndt 2000: 92) (შდრ. 11)

nanggayan

who

guny-bi-yarluga?

2DU>3SG-FUT-poke

'Who do you two want to spear?' (ორიდან ვის გინდა ჰკრა ხელი?)

წესი 5: პირისა და რიცხვის მონიშვნა

თუ ობიექტ-ენაში ერთი მეორის მიყოლებით გვხვდება პირი და რიცხვი, მაშინ მათი გამოყოფა წერტილით არ ხდება, მაგ.:

(20) იტალიური

and-iamo

go-PRS.1PL (not: go-PRS.1.PL)

'we go' (ჩვენ მივდივართ)

წესი 5ა. (არასავალდებულო)

სხვადასხვა ენაში ძალიან ხშირად გვხვდება რიცხვისა და გრამატიკული სქესის მარკერები, განსაკუთრებით, პირთან ერთად. შესაბამისად, ზოგიერთი ავტორი იყენებს წერტილის გარეშე წარმოდგენილ პატარა ასოებს. მსგავს შემთხვევაში, გამოიყენეთ მაგალით 21-ის მეორე გლოსი.



(21) ბელჰარი

<i>ne-e</i>	<i>a-khim-chi</i>	<i>n-yuNNa</i>
DEM-LOC	that.DAT.SG	3NSG-be.NPST
DEM-LOC	1sPOSS-house-PL	3ns-be.NPST

'Here are my houses.' (აქ ჩემი სახლებია.)

წესი 6: ნულოვანი ელემენტები (Non-overt elements)

თუ მორფემულ გლოსში გვხვდება ელემენტი, რომელიც არ შეესაბამება მაგალითში წარმოდგენილ ელემენტებს, მაშინ შესაძლებელია მისი ჩასმა კვადრატულ ფრჩხილებში. ასევე, შესაძლებელია ობიექტ-ენაში მსგავსი ელემენტის ასახვა "Ø" სიმბოლოს გამოყენებით, რომელიც გამოიყოფა დეფისით მეტა-ენის ელემენტის მსგავსად.

(22) ლათინური

<i>puer</i>	<i>ან</i>	<i>puer-Ø</i>
boy[NOM.SG]		boy-NOM.SG
'boy'		'boy'

'boy' (ბიჭი)

წესი 7: ნულოვანი კატეგორიები (Inherent categories)

გლოსში შესაძლებელია ნულოვანი კატეგორიების, როგორც მაგალითად გრამატიკული სქესის, აღნიშვნა, მაგრამ უნდა გამოიყენებოდეს მრგვალი ფრჩხილები, მაგ.:

(23) ჰუნზიბ (van den Berg 1995: 46)

<i>oz#-di-g</i>	<i>xōxe</i>	<i>m-uq'e-r</i>
boy-OBL-AD	tree(G4)	G4-bend-PRET

'Because of the boy the tree bent.' (ბიჭის გამო, ხე გადაიხარა, G4 = 4 კლას-კატეგორია, AD = ადესივი, PRET = პრეტერიტი)

წესი 8: ორი ნაწილისაგან შემდგარი ელემენტები (Bipartite elements)

გრამატიკული ან ლექსიკური ელემენტები, რომლებიც შედგება ორი განსხვავებული მორფოლოგიური თვისებების მქონე ნაწილისაგან (მაგ. გაორმაგებული ძირები



როგორცაა ლახოტას ენაზე *na-xʉ* 'hear' (მოსმენა). მათი დამუშავება შესაძლებელია ორნაირად:

(i) შესაძლებელია გლოსის უბრალოდ წარმოდგენა:

(24) ლახოტა

na-wičha-wa-xʉ

hear-3PL.UND-1SG.ACT-hear

'I hear them' (ვუსმენ მათ, UND = ვინც განიცდის ზეგავლენას, ACT = მოქმედი)

(i) შესაძლებელია გლოსის უბრალოდ გამეორება:

(25) ლახოტა

na-wičha-wa-xʉ

hear-3PL.UND-1SG.ACT- STEM

'I hear them' (ვუსმენ მათ)

ცირკუმფიქსი, ასევე, წარმოადგენს ორი ნაწილისაგან შემდგარ ელემენტს, ხოლო მისი დამუშავება ხდება შემდეგნაირად:

(26) გერმანული

ge-seh-en

PTCP-see-PTCP

'seen'

ან:

ge-seh-en

PTCP-see-CIRC

'seen' (ნანახი)

Rule 9: ინფიქსები (Infixes)

ინფიქსების წარმოდგენა ობიექტ-ენის გლოსში ხდება '< >' ფრჩხილებში ჩასმის გზით, მაგ.:

(27) ტაგალოგი

b<um>ili (ძირი: *bili*)

<ACTFOC>buy



'buy' (ყიდვა)

(28) ლათინური

reli<n>qu-ere (ძირი: **reliqu-**)

leave<PRS>-INF

'to leave' (მიტოვება)

ინფიქსის იდენტიფიცირება და გლოსში მისი პოზიციის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც მარცხენივ-პერიფერიულისა (როგორც 27-ე მაგალითში) ან როგორც მარჯვნივ-პერიფერიულისა (როგორც 28-ე მაგალითში). თუ ინფიქსი არ არის მკვეთრად პერიფერიული, მაშინ სასურველია სხვა გზის პოვნა მისი იდენტიფიცირებისათვის.

წესი 10: გაორმაგება (Reduplication)

გაორმაგების ჩვენება ხდება აფიქსაციის მსგავსად, მაგრამ მსგავს შემთხვევებში (ჩვეულებრივი დეფისის მაგივრად) ხდება ტილდეს გამოყენება, რომელიც აკავშირებს გამეორებულ ელემენტს ძირთან.

(29) ებრაული

yerak ~ rak-im

green ~ ATT-M.PL

'greenish ones' (მომწვანო, ATT = ატენიუტატივი)

(30) ტაგალოგი

bi ~ bili

IPFV ~ buy

'is buying' (ახლა ყიდულობს)

(31) ტაგალოგი

b<um>i ~ bili

<ACTFOC> IPFV ~ buy

'is buying' (ახლა ყიდულობს, ACTFOC = მოქმედების ფოკუსი)



1	პირველი პირი
2	მეორე პირი
3	მესამე პირი
A	წესიერი გარდამავალი ზმნის აგენსის მსგავსი არგუმენტი
ABL	აბლატივი, მოქმედებითი ბრუნვა
ABS	აბსოლუტივი, წრფელობითი ბრუნვა
ACC	აკუზატივი, ბრალდებითი ბრუნვა
ADJ	ზედსართავი
ADV	ზმნიზედა
AGR	შეთანხმება
ALL	ალატივი
ANTIP	ანტიპასივი
APPL	აპლიკატივი
ART	არტიკლი
AUX	დამხმარე ზმნა
BEN	ბენეფაქტივი
CAUS	კაუზატივი
CLF	კლასის ნიშანი
COM	კომიტატივი
COMP	კომპლემენტიზერი, დამატება
COMPL	კომპლექტივი, სასრული
COND	პირობითი
COP	კოპულა
CVB	კონვერბი, ზმნიზედური წარმოების არასასრული ზმნა
DAT	დატივი, მიცემითი ბრუნვა
DECL	დეკლარატივი
DEF	განსაზღვრებითი
DEM	ჩვენებითი
DET	დეტერმინანტი
DIST	პერიფერიული
DISTR	დისტრიბუციული, გამყოფი
DU	დუალისი, ორობითი რიცხვი
DUR	დურატივი, განგრძობითი
ERG	ერგატივი, მოთხრობითი ბრუნვა
EXCL	ექსკლუზივი
F	მდედრობითი სქესი
FOC	ფოკუსი
FUT	მომავალი
GEN	გენეტივი, ნათესაობითი ბრუნვა
IMP	იმპერატივი, ბრძანებითი კილო
INCL	ინკლუზივი
IND	ინდიკატივი, თხრობითი კილო
INDF	განუსაზღვრელობითი
INF	ინფინიტივი
INS	ინსტრუმენტალისი, მოქმედებითი ბრუნვა
INTR	გარდაუვალი
IPFV	უსრული (ასპექტზე)
IRR	ირეალისი
LOC	ლოკატივი



M	მამრობითი სქესი
N	საშუალო სქესი
N-	არა- (მაგ. NSG არა-მხოლოებითი, NPST არა-წარსული)
NEG	ნეგაცია, უარყოფა, უარყოფითი
NMLZ	ნომინალიზაცია
NOM	ნომინატივი, სახელობითი ბრუნვა
OBJ	ობიექტი
OBL	ირიბი
P	წესიერი გარდამავალი ზმნის პაციენსის მსგავსი არგუმენტი
PASS	პასივი, ვნებითი
PFV	სრული (ასპექტის შემთხვევაში)
PL	მრავლობითი რიცხვი
POSS	კუთვნილებითი
PRED	პრედიკატივი,
PRF	წყვეტილი
PRS	აწმყო
PROG	განგრძობითი
PROH	აკრძალვითი
PROX	პროქსიმალური
PST	წარსული
PTCP	მიმდებარეობა
PURP	დანიშნულებითი
Q	კითხვითი ნაწილაკი/ნიშანი
QUOT	თქმის აღმნიშვნელი
RECP	უკუქცევითი
REFL	რეფლექსივი
REL	რელატივი, მიმართებითი
RES	რეზულტატივი, თურმეობითი
S	წესიერი გარდაუვალი ზმნის ერთადერთი არგუმენტი
SBJ	სუბიექტი
SBJV	კავშირებითი
SG	მხოლოებითი რიცხვი
TOP	თემა
TR	გარდამავალი
VOC	ვოკატივი, წოდებითი ბრუნვა

დამოწმებანი

Fortescue, Michael. 1984. *West Greenlandic*. (Croom Helm descriptive grammars) London: Croom Helm.

Haspelmath, Martin. 1993. *A grammar of Lezgian*. (Mouton Grammar Library, 9). Berlin - New York: Mouton de Gruyter.

Lehmann, Christian. 1983. "Directions for interlinear morphemic translations". *Folia Linguistica* 16: 193-224.

Schultze-Berndt, Eva. 2000. *Simple and complex verbs in Jaminjung: A study of event categorization in an Australian language*. Katholieke Universiteit Nijmegen Ph.D. Dissertation.



Sneddon, James Neil. 1996. *Indonesian: A comprehensive grammar*. London: Routledge.
van den Berg, Helma. 1995. *A Grammar of Hunzib*. (Lincom Studies in Caucasian Linguistics, 1.) München: Lincom Europa.

ლინკი: <https://www.eva.mpg.de/lingua/pdf/Glossing-Rules.pdf>